KK Group

ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

KK Group

სარჩევი

მოსაზრება 3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 6
სრული შემოსავლის ანგარიშგება 7
კაპიტალის ცვლილების ანგარიში 8
ფულადი ნაკადების ანგარიში 9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 10
1.ზოგადი ინფორმაცია 10
2.მომზადების საფუძვლები 11
3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 11
4.ძირითადი საშუალებები 18
5. ფული და ფულის ექვივალენტები 19
6. მოთხოვნები დონორების მიმართ 19
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 19
8. ვალდებულებები დონორების მიმართ 20
9. შემოსავალი 20
10. კომერციული ხარჯი 23
11. გრანტის ხარჯი 24
12. არასაოპერაციო შემოსავალი 24
13. არასაოპერაციო ხარჯი 24
14. ფუნქციონირებადი საწარმო 25
დანართი N1 26

მოსაზრება

ჩავატარეთ **აააიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის"** ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისაგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს **აააიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის"** ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხიმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ **აააიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის"** იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინასური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა

ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინასურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინასური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს **ააიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“** ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან **ააიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“** ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

KK Group

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

კონსტანტინე კიკნაძე
გარიგების პარტნიორი

შპს „კკ ჯგუფი“
ქ. თბილისი, არჩილ ქურდიანის 11
31 ივლისი 2023 წ.

Konstantine Kiknadze

Digitally signed by Konstantine Kiknadze
Date: 2023.07.31 12:23:52 +04'00'

ააიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	4 473 947	4 650 237
არამატერიალური აქტივები		42 870	36 230
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4 516 817**	**4 686 468**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		3 173	7 431
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1 809 272	1 353 293
მოთხოვნები დონორებთან	6	489 314	-
წინასწარ გაწეული ხარჯები		57 816	170 189
საგადასახადო მოთხოვნები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	1 865 355	3 013 914
სულ მოკლევადიანი აქტივები		**4 224 931**	**4 544 828**
სულ აქტივები		**8 741 748**	**9 231 295**
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		22 568	299 436
კაპიტალი		8 421 994	8 122 560
სულ საკუთარი კაპიტალი		**8 444 562**	**8 421 996**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება		118 959	103 581
ვალდებულება დონორებთან	8	84 705	659 638
საგადასახადო ვალდებულებები		93 522	46 082
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**297 186**	**809 301**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**8 741 748**	**9 231 296**

რექტორი
მარინე იოსელიანი
31 ივლისი 2023
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
ვასილ ქავთარაძე
31 ივლისი 2023
თბილისი, საქართველო

აიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
საოპერაციო შემოსავალი			
შემოსავალი გრანტებიდან	9	7 892 965	7 456 953
სულ შემოსავალი		2 611 972	2 481 433
მთლიანი მოგება		**10 504 937**	**9 938 386**
		10 504 937	**9 938 386**
კომერციული ხარჯი			
გრანტების ხარჯი	10	-7 320 248	- 6 937 944
	11	-2 611 972	- 2 481 433
სულ საოპერაციო ხარჯები		**- 9 932 220**	**- 9 419 377**
საოპერაციო მოგება(ზარალი)		**572 717**	**519 009**
არასაოპერაციო შემოსავალი			
არასაოპერაციო ზარალი	12	507 206	236 087
	13	- 1 057 356	- 455 660
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		**- 550 149**	**- 219 573**
მოგება დაბერგვრამდე		**22 568**	**299 436**
მოგების გადასახადი			
დივიდენდის გაცემა			
დაგროვილი მოგება		**22 568**	**299 436**

რექტორი
მარინე იოსელიანი
31 ივლისი 2023
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
ვასილ ქავთარაძე
31 ივლისი 2023
თბილისი, საქართველო

ააიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“

კაპიტალის ცვლილების ანგარიში

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**-**	**8 122 560**	**8 122 560**
ზრდა	299 436		**299 436**
შემცირება			
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**299 436**	**8 122 560**	**8 421 996**
ზრდა	22 568		**22 568**
შემცირება			
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**322 003**	**8 122 560**	**8 444 563**

ააიპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ GIPA - Georgian Institute Of Public Affairs * 204429341 *

რექტორი
მარინე იოსელიანი
31 ივლისი 2023
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
ვასილ ქავთარაძე
31 ივლისი 2023
თბილისი, საქართველო

აიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“
ფულადი ნაკადების ანგარიში
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31.12.2022	31.12.2021
მოგება დ.ბეგრვამდე	22 568	299 436
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	560 461	570 897
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	**583 029**	**870 333**
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	- 455 979	- 177 477
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	4 258	1 056
ცვლილებები დონორებთან	- 489 314	1 067 899
ცვლილებები სხვა მოკლევადიან მოთხოვნებიდან	112 372	20 158
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	15 378	- 15 094
ცვლილებები გადასახდელ გადასახადებში	47 440	54 576
ცვლილებები ვალდებულებებიდან დონორებთან	- 574 933	97 109
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**- 757 749**	**1 918 560**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	- 390 810	- 426 739
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**- 390 810**	**- 426 739**
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	**- 1 148 559**	**1 491 821**
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3 013 914	1 522 094
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**1 865 355**	**3 013 915**

შენიშვნა: ასევე იხილეთ ფულადი ნაკადების ანგარიში პირდაპირი მეთოდით დანართი N1.

რექტორი
მარინე იოსელიანი
31 ივლისი 2023
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
ვასილ ქავთარაძე
31 ივლისი 2023
თბილისი, საქართველო

ააიპ ,,ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.ზოგადი ინფორმაცია

ააიპ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“ (შემდგომში -"ჯიპა") დაფუძნდა 2001 წლის 18 სექტემბერს. საიდენტიფიკაციო კოდი: 20429341. იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მ. ბროსეს ქ.,№2 .

ააიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებო საქმიანობა. ინსტიტუტი არსებული კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს აკადემიური განათლების ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს. უნივერსიტეტის სტრუქტურაში წარმოდგენილია შემდეგი სკოლები:

- მმართველობის სკოლა;
- ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა;
- სამართლისა და პოლიტიკის სკოლა;
- სოციალურ მეცნიერებათა სკოლა.

ინსტიტუტში აგრეთვე ფუნქციონირებს ,,სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი“, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშესაწყობად უცხოური და ადგილობრივი დონორებისა და მთავრობების მიერ დაფინანსებული საგარანტო პროექტების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

ინსტიტუტის განვითარების კონცეპტუალურ გეგმას და მის პოლიტიკას განსაზღვრავს მისი უმაღლესი მმართველი ორგანო - გამგეობა, რომელიც შედგება ქართველი და ამერიკელი საჯარო, სამთავრობო და აკადემიური წრეების წარმომადგენლობისგან. ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორია ინსტიტუტის რექტორი, რომელსაც ნიშნავს გამგეობა.

2.მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

„ჯიპა“ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

„ჯიპას“ საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ჯიპას მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული საღრიცხვო შეფასებები.

„ჯიპა“ ფინანსური აღრიცხვას აწარმოებს საბუღალტრო პროგრამა „ორის მენეჯერის“ მეშვეობით.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

3.მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები ან გასაყიდად არსებული

ფინანსური აქტივები. ჯიპა განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

„ჯიპა"-ს გააჩნია მომსახურებისათვის გამიზნული აქტივები და ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

„ჯიპა" წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც „ჯიპა"-ს მიმართ არსებული ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

„ჯიპა“ ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და „ჯიპა“-ს აქვს განზრახვა ზემოხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(დ) ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);

2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და

3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ჯიპას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება ფასდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. კაპიტალიზდება მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლის ხარჯები, ხოლო გამოცვლილი ნაწილის ღირებულებები ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში. წინა პერიოდებში ძირითადი საშუალებების გაუფასურებით მიღებული ზარალი გადაიხედება თუ შეიცვალა ვარაუდები, რომელიც გამოყენებულ იქნა ძირითადი საშუალებების გამოყენებადი ღირებულების ან რეალურ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულების განსასაზღვრად.

გაყიდვით გამოწვეული მოგება და დანაკარგი, რომლებიც განისაზღვრება საბალანსო ღირებულების სანაცვლო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო ვადის განმავლობაში.

ჯგუფი	%
შენობები	2
სატრანსპორტო საშუალებები	14
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	20

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან.

„ჯიპა" მატერიალურ მარაგებში აღრიცხავს ისეთ მატერიალურ აქტივებს, რომელიც განკუთვნილია საქმიანობის პროცესში მოხმარებისათვის.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

კაპიტალი & დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. შესამოწმებელ და შესადარებელ პერიოდში დივიდენდის გაცემა არ განხორციელებულა.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის მოგების საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია

დასაბეგრ მოგებაზე. საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით ჯიპა 2019 წლის 1 იანვრიდან გადავიდა მოგების გადასახადის ე. წ. ესტონურ მოდელზე, რომელშიც დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში და იგი ძირითადად დამოკიდებულია გაცემული დივიდენდის ოდენობაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.
ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ჯიპას შემოსავლების ძირითად ნაწილს შეადგენს საგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი და დონორებისგან მიღებული გრანტები. იჯარიდან მიღებული შემოსავალი ასახულია არასაოპერაციო შემოსავლებში. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები აისახება დარიცხვის მეთოდით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა"). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.
ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2021-2022 წლის 31 დეკემბრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

			აშშ დოლარი	*ევრო*
გაცვლითი კურსი	2021	წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
გაცვლითი კურსი	2022	წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა-ნაგებობები	მანქანები	ავეჯი, საოფისე ტექნიკა და სხვა აქტივები	წიგნები	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამი
საწყისი ღირებულება								
ბალანსი31/12/2021	**750 000**	**75 248**	**2 522 891**	**247 101**	**2 704 435**	**461 949**	**92 031**	**6 853 655**
დანამატები		-			449 178	17 614	10 000	476 793
აქტივების ჩამოწერა					89 545			89 545
ბალანსი 31/12/2022	**750 000**	**75 248**	**2 522 891**	**247 101**	**3 064 068**	**479 564**	**102 031**	**7 240 903**
აკუმულირებული ცვეთა								
ბალანსი 31/12/2021	-	-	**585 588**	**190 118**	**1 335 681**	-	**55 801**	**2 167 188**
ცვეთა პერიოდისათვის			50 458	31 659	520 658	-	3 360	606 135
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა					49 236			49 236
ბალანსი 31/12/2022	-	-	**636 046**	**221 777**	**1 807 103**	-	**59 161**	**2 724 087**
ბალანსი 31/12/2021	**750 000**	**75 248**	**1 937 303**	**56 982**	**1 368 754**	**461 949**	**36 230**	**4 686 467**
ბალანსი 31/12/2022	**750 000**	**75 248**	**1 886 846**	**25 324**	**1 256 965**	**479 564**	**42 870**	**4 516 816**

5. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები, რომელიც განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე 2021-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ეროვნული ვალუტა ბანკში - GEL	896 284	943 160
უცხოური ვალუტა ბანკში - USD	519 546	1 067 663
უცხოური ვალუტა ბანკში - EUR	373 626	842 396
უცხოური ვალუტა ბანკში- SEK	75 899	160 695
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	**1 865 355**	**3 013 914**

6. მოთხოვნები დონორების მიმართ

დონორების მიმართ მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

US DISBURSING OFC SYMBOL	31.12.2022	31.12.2021
5303545625 / INTERNATIONAL RESEARCH	405 806	
	83 507	
სულ	**489 314**	**-**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021
სტუდენტებისგან მისაღები სწავლის საფასურები	1 463 475	1 076 937
სტუდენტების სახელმწიფო გრანტები	266 897	236 588
სტუდენტების სოციალური დახმარება	78 901	39 769
სულ მოთხოვნები	**1 809 272**	**1 353 293**

8. ვალდებულებები დონორების მიმართ

დონორების მიმართ ვალდებულებები 2021-2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
KINGS COLLEGE LONDON,	298	298
ლენდ ოლიქს ინტერნეშენალდეველოპმენტსაქართველო	1 115	-
5303545625 / INTERNATIONAL RESEARCH,		11 792
CNFA - საქართველო/ მიზნ. ანგ. საქ-ოს სასოფლოსამეურნ. წარმ., 205086280,205086280		157 821
გერმანიის საერთაშორისოთანამშრომლობის საზოგადოება GIZ,204432710	17 327	17 327
US DEPARTMENT	3 381	4 722
საერთარკომერც ორგანიზაც "მერსი ქორფს"-ის წარმომადგენლ, 204416676,204416676	10 141	16 204
ერთ ანგ. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,204864548	-	-
UNDP-გაერთიანებული ერების ორგ-ის განვ-ის პროგრამის წარმ-ბა , 204907128,204907128	31 331	712
Commission des Communautes rue de la loi 200 b-1040 Brussels Belgium,	3 118	32 955
THOMSON REUTERS FOUNDATION RETAIL 30 SOUTH COLONNADE CANARY WHARF GB-LONDON, LONDON E14 5EP,		3 118
US DISBURSING OFC SYMBOL,	20 974	55 663
THE FRONTLINE CLUB CHARITABLE TRUST 13 NORFOLK PLACE LONDON W2 1QJ GB GB,	-	63 470
აიპ ინტერნიუსი - საქართველო,203852214	23 781	261 745
DEUTSCHE WELLE ANSTALT DESOEFFENTLICHEN RECHTS,	2 383	2 383
CLOVEK V TISNI, O.P.S.,		10 066
მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისოცენტრი, 205309842,205309842		2 435
ერთ ანგ. სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდ,204578064		43 926
Karlstads Universitet,	9	9
ერთ ანგ. სსიპ - ილიას სახელმწიფოუნივერსიტეტი,204861970	2 550	
სულ	11 483	
	4 373	
	84 705	**659 638**

9. შემოსავალი

შემოსავლის არსებით ნაწილს წარმოადგენს სწავლების საფასურიდან მიღებული შემოსავალი, რაც 2021-2022 წლისთვის წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან	7 045 895	6 006 243
შემოსავალი ტრენინგ ცენტრიდან	563 965	532 793
შემოსავალი სხვა სერვის კონტრაქტებიდან	283 105	917 917

შემოსავალი გრანტებიდან	2 611 972	2 481 433
	10 504 936	**9 938 386**

შემოსავლები სასწავლო პროგრამებიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

N	პროგრამის დასახელება	2022	2021
	საბაკალავრო პროგრამები	**GEL 4 878 067**	**GEL 3 882 411**
1	ბიზნესის ადმინისტრირება	GEL 742 578	GEL 627 071
2	აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნება	862291,26	GEL 569 090
3	ციფრული მედია და კომუნიკაცია	472299,32	GEL 331 850
4	სამართალი	631005	GEL 654 510
5	საერთაშორისო ურთიერთობები	703475	GEL 571 684
6	სოციალური მეცნიერებები	455695,98	GEL 450 262
7	ეკონომიკა	171145,52	GEL 121 018
8	ფსიქოლოგია	419727,7	GEL 245 200
9	სოციოლოგია	172806,04	GEL 123 374
10	პოლიტიკური მეცნიერებები	247043,3	GEL 188 352
	სამაგისტრო პროგრამები	**GEL 1 746 739**	**GEL 1 904 780**
1	ბიზნესის ადმინისტრირება	330635,77	GEL 362 499
2	საჯარო პოლიტიკა	137830	GEL 153 907
3	საჯარო მმართველობა	157488	GEL 145 044
4	ადგილობრივი თვითმმართველობა	125150	GEL 133 591
5	გარემოს დაცვა	147500,33	GEL 141 529
7	მულტიმედიური ჟურნალისტიკა და მედია-მენეჯმენტი	150875,62	GEL 170 160
8	საზოგადოებრივი ურთიერთობები	346327,03	GEL 392 956
9	მედია ტექნოლოგიების ინჟინერია		
10	საერთაშორისო სამართალი	85775	GEL 103 792
11	საერთაშორისო ურთიერთობები	123500	GEL 161 792
12	ფსიქოლოგია	141656,8	GEL 139 510
	PhD	**GEL 53 300**	**GEL 73 413**
1	საჯარო მმართველობა	GEL 32,850	
2	პოლიტიკის მეცნიერება	GEL 20,450	
3	სოციალური მეცნიერებები		GEL 73 413
	პროფესიული	**GEL 367 789**	**GEL 273 962**
	შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	GEL 367 789	GEL 273 962
	Total	**GEL 7 045 895**	**GEL 6 134 566**

შემოსავლები ტრენინგ ცენტრიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

N	დასახელება	2022	2021
1	ზუალ მენეჯმენტ	76 120	71 490
2	მარკეტინგი	36 400	19 990
3	ფინანსური მენეჯმენტ	29 975	19 725
4	HR	127 985	113 917
5	ბიზნესის მენეჯმენტ	43 700	41 250
6	მარეგის ფსიქოლოგია	42 800	10 440
7	ფსიქოლოგიის საფუძვლები (მოსამზადებელი)	4 700	15 950

8	პიარი და ლინისძიებათა მართვა		
9	რეკლამა	30 400	15 800
10	კომუნიკაც. ფსიქოლოგია		13 291
11	ინტერპერსონალური ურთიერთობები	15 540	
12	გაყიდვების მენეჯმენტი		8 170
13	სასტუმროს საქმის მენეჯმენტი		22 790
14	ეგზისტენციალური ფსიქოლოგია	26 200	10 710
15	კლინიკის მენეჯმენტი		7 500
16	სტრატეგიული კომუნიკაცია	73 340	92 160
17	Production Lab	29 985	36 770
18	აღმრთს ფსიქოლოგია	23 780	27 450
		3 040	31 480
	Grand total:	**GEL 563 965**	**GEL 558 883**

შემოსავლები გრანტებიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

პროექტის დასახელება	2022 წელ
St. Dap. Radio-Frontline	74,70
USDA Animal Health Program	16 168,76
ENPARD2	162 395,30
ABC.TEMPUS.	4 553,15
Erasmus	7 103,76
e-Learning St. Dap	1 832,27
E-Learning	14 119,35
Mercy corps	612,35
Youth Journalism Development in Ethnic Minority Regions	46 382,44
Piloting Modern Trading	30,48
E-School in Georgia and the south Caucasus (2019)	4 873,32
Media Literacy	791,64
Russian E-learning	143 700,59
St. Dap. - Press Tour for Italian Journalists	6 062,53
HERD (ERASMUS)	60 190,10
Local Action Group Tskaltubo	95 928,78
Multimedia Literacy Skills and Civic Development for Ethnic Minority Youth	33 434,76
Media Literacy Campaigh	4 133,16
Public Talk Series / Georgian Social Media Reviews	695,64
CSJMM- Budget for multimedia journalism and media management armenian students 2020 -2022	23 354,74
GIZ_EPIC	982,68
St. Dap. Azerbaijan 2020-2021	17 402,21
GIZ EPIC მოწყვლად იმუშავითგადა ადგილობრივ პირების და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა კავკასიაში	278,64
USAID/CNFA Specialty Vegetables education program	1 500,00
EU Violance	3 104,93
IREX_Median and Jounalism Activity	611 623,00

Frontline _ Internews Georgia	10 086,69
Reuters Foundation Consultant LTD	50 616,03
St. Dap. Azerbaijan 2021-2023	173 436,10
CSJMM- Budget for multimedia journalism and media management armenian students 2021-2024	195 364,17
Multimedia, social media, media literacy and social entrepreneurship skills for ethnic Minority youth	400 530,39
Mainstreaming Gender Balance and Equal Opportunities in the Regional TVET Institutions	257 623,80
Land O'Lakes Venture (The Food for Progress Program)	15 507,85
რუსთაველს სამეცნიეროგრანტი	6 450,32
E-scool in Georgia and the south Caucasus (2022)	78 715,92
St. Dap. - Multimedia skills	27 434,06
Academic Collaboraton in Baltic Sea Region (BSR) 2021	10 623,80
Akhalkalaki LAG-Promoting a Renewable Energy Consumption in the Rural Communities of Akhalkalaki Municipality	25 417,82
Co-CreaYOUTH, Co-creation culture and methods for youth integration	3 535,64
St. Dap. Azerbaijan 2022-2024	45 037,91
SCJMM (Azerbaijani students)	10 950,82
Mainstreaming Gender Balance and Equal Opportunities in the Regional TVET Institutions	39 248,16
World bank project	63,00
სულ	**2 611 971,76**

10. კომერციული ხარჯი

კომერციული ხარჯი 2021-2022 წლისთვის წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
სახელფასოდანახარჯი	5 525 771	5 308 751
კაპიტალური ხარჯი		29 627
ინვენტარის ხარჯი	90 747	17 474
იჯარის ხარჯი	52 715	373 327
კომუნალური ხარჯი	484 000	97 768
წარმომადგენლობითი ხარჯი	136 718	43 200
სხვა ადმინისტრაციული დანახარჯი	1 030 298	1 067 797
სულშირდაპირი ხარჯები	**7 320 248**	**6 937 944**

11. გრანტის ხარჯი

გრანტის ხარჯი 2021-2022 წლისთვის წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
სახელფასოდანახარჯი	1 701 351	1 562 124
ინვენტარის ხარჯი	7 572	9 725
ოჯრის ხარჯი	223 281	
ქვეგრანტის ხარჯები		299 984
სხვა ადმინისტრაციული დანახარჯი	489 934	399 146
ცვეთა	189 835	210 454
სულშირდაპირი ხარჯები	**2 611 972**	**2 481 433**

12. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი 2021-2022 წლისთვის წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
საპროცენტოშემოსავლები	77 143	56 391
შემოსავალი საკურსოსხვაობიდან	214 814	93 109
შემოსავალი ოჯრიდან	71 993	79 285
სხვა არასაოპერაციოშემოსავალი	143 256	7 302
სულშემოსავალი	**507 206**	**236 087**

13. არასაოპერაციო ხარჯი

არასაოპერაციო ხარჯი 2021-2022 წლისთვის წარდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
საპროცენტო ხარჯები	12 326	12 986
ზარალი საკურსო სხვაობიდან	443 118	305 972
არასაოპერაციო ზარალი		122
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	231 285	136 579
ცვეთა	370 627	
სულ ხარჯი	**1 057 356**	**455 660**

14. ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

დანართი N1

აიპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“

ფულადი ნაკადების ანგარიში (პირდაპირი მეთოდი)

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2022	2021
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	3 013 914	1 522 094
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**1 865 355**	**3 013 914**
მოკლევადიანი ინვესტიციები		
ფულადი სახსრების ცვლილება	**(1 148 559)**	**1 491 820**
ფულადი სახსრების შემოდინება	**9 279 855**	**10 990 258**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**9 202 712**	**10 933 867**
შემოსავალი საბაკალავრო, სამაგისტრო და PHD პროგრამებიდან	6 476 067	5 850 749
ფულადი ნაკადები ტრენინგ ცენტრიდან	598 673	579 891
ფულადი ნაკადები დონორებიდან	1 575 007	3 564 516
ფულადი ნაკადები იჯარიდან და სხვა მომსახურებიდან	374 106	847 532
კურსთაშორის სხვაობა	178 859	91 179
ფულადი ნაკადები ინვესტიციიდან	**77 143**	**56 391**
საპროცენტო შემოსავალი	77 143	56 391
ფულადი სახსრების გასავლა	**10 428 415**	**9 498 438**
საოპერაციო საქმიანობიდან	**7 670 525**	**5 790 787**
ხელფასის ხარჯი	4 291 114	4 106 930
შემენილი საქონელი და მომსახურება	1 657 099	306 735
თანამშრომლების მივლინება და დამატებით შესრულებული სამუშაოები	26 403	4 508
ბანკის მომსახურების საკომისიო	20 997	23 474
გადახდილი გადასახადები	1 202 793	1 127 715
კურსთაშორის სხვაობა	472 120	221 424
გრანტები	**2 386 533**	**1 659 540**
ხელფასის ხარჯი	1 347 175	1 241 272
გადასახადების ხარჯი	337 807	326 714
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	650 316	81 682
თანამშრომლების მივლინება და დამატებით შესრულებული სამუშაოები	51 235	9 872
ფინანსური ხარჯი	**12 326**	**12 986**
საპროცენტო ხარჯი	12 326	12 986
საინვესტიციო ხარჯი	**359 031**	**2 035 125**
ინვენტარის და აღჭურვილობის შეძენა (კომერციული)	254 424	1 465 311
ინვენტარის და აღჭურვილობის შეძენა (გრანტები)	104 607	569 814

რექტორი
მარინე იოსელიანი
31 ივლისი 2023
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
ვასილ ქავთარაძე
31 ივლისი 2023
თბილისი, საქართველო

N 02-23/78
01.08.2023

78-0-2-202308011511

შპს „კპ ჯგუფის“

დირექტორს ბატონ

კონსტანტინე კიკნაძეს

ბატონო კონსტანტინე,

აღნიშნულ წერილს ვწერთ ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, რომელსაც თქვენ ატარებთ იმ მიზნით, რომ გამოთქვათ მოსაზრება, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად არის წარდგენილი თუ არა, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ვადასტურებთ, რომ ფინანსური ანგარიშგება ობიექტურად და სრულად ასახავს საზოგადოების სამეურნეო ოპერაციებს და ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით წარდგენილია სამართლიანად.

ამასთან, ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომ პერიოდში საზოგადოების სამეურნეო ოპერაციებში არ მომხდარა რაიმე სახის ცვლილება, რასაც შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ამავე დროს გაცნობებთ, რომ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიმდინარეობისას ჩვენ მიერ მოწოდებული იქნა ჩვენს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია.

პატივისცემით,

მარინე იოსელიანი

რექტორი